



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი
 პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე
 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
 გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე
 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე
 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა
 პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
 პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
 პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასოცირებული პროფ. სამართლის დოქტორი ანრი ოხანაშვილი (თსუ), LL.M. (იენა)

პროფესორ, სამართლის დოქტორ, საპატიო დოქტორ ოთარ გამყრელიძისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა – 2

შინაარსი

სტატიები

პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მნიშვნელობა და მისი სპეციფიკა არასრულწლოვანთან მიმართებაში ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. <i>ნინო გოგნიაშვილი</i> , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	59
დამნაშავის პიროვნება – სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი გარემოება პროფესორი, სამართლის დოქ. <i>მაია ივანიძე</i> , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	64
ნარმატივული სამედიცინო ჩარევის დომამატიკური შეფასებისათვის ქართულ მედიცინის სისხლის სამართალში ასოცირებული პროფ. სამართლის დოქ. <i>ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი</i> , სამართლის მაგისტრი (იენა), საქართველოს უნივერსიტეტი	70
სისხლის სამართლის კანონის დროსა და სივრცეში მოქმედების საკითხისათვის პროფესორი, სამართლის დოქ. <i>ნონა თოდუა</i> , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	76





სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
პროფ. დოქ. ლავრენტი მალლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. სამართლის დოქ.
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)
დოქ. ანნეკე პეტცშე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის
შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იოანა რინჩიანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასოცირებული პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასოცირებული პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M.
(ფრაიბურგი)
პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M. (მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი
ფრანკ ჰუფველდი

ჟურნალის 2023 წლის მესამე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:
სამართლის დოქ. ხატია თანდილაშვილი LL.M.
(Potsdam), ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრი
მარიკა ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
თამარ შავგულიძე LL.M. (პასაუ), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა, ჟურნალის
სამუშაო ჯგუფის წევრი

2023 წლის მესამე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამართლის დოქ.
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა), ასოცირებული პროფ.
(თსუ), საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მნიშვნელობა და მისი სპეციფიკა არასრულწლოვანთან მიმართებაში

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *ნინო გოგნიაშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია თავისი ღირსებითა და უფლებებით, რაც აღიარებული და უზრუნველყოფილია საერთაშორისო კონვენციებითა და დეკლარაციებით. მათ შორის, აღსანიშნავია გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“, 1981 წლის 28 იანვრის ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია, და 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული გაეროს ორი პაქტი – „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების“ შესახებ.

საქართველოს კონსტიტუცია, ისევე როგორც სხვა დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები, აღიარებს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს. აღნიშნულ უფლებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პირადი ცხოვრების უფლებას. პირადი ცხოვრება არ არის მხოლოდ ადამიანის შინაგანი სამყარო, არამედ იგი ასევე მოიცავს პირის შესაძლებლობას, ჰქონდეს გარე სამყაროსთან ურთიერთობა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის, საზოგადოების ჯანსაღი განვითარებისა და არსებობისთვის. შესაბამისად, მისი გამოყენება ანგარებით ან პოლიტიკური მიზნებისთვის ყოველგვარად დაუშვებელია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ის ფასეულობაა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში აისახება და იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, როდესაც პროგრესს სისტემატურად განიცდის ჩვენი გარე სამყარო, აღნიშნული უფლება ახალ შინაარსს იძენს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი¹ იცავს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას, რომელიც თავისი არსით, ბუნებრივია ცდება კონსტიტუციის ერთი კონკრეტული მუხლის ფარგლებს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომ პირადი ცხოვრების უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობა მის მრავლისმომცველობასთანა დაკავშირებული იგი მოიცავს, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, პირადი მონაცემების, ოჯახური და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების, სახელის, მიმონერის და სატელეფონო საუბრების საიდუმლოს ხელშეუხებლობის უფლებას, და ასევე რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, ნასამართლობასა და განრიდებასთან, ბიომეტრიულ თუ გენეტიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა, მისი ყველა ასპექტის წინსწრებად ჩამოთვლა შეუძლებელია.

პირადი ცხოვრების უფლების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან მიმართებაში. მათთან ურთიერთობა განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს ნებისმიერ სივრცეში, მითუმეტეს მართლმსაჯულების კუთხით და მისი საკანონმდებლო მოწესრიგებაც სწორედ აღნიშნული ფაქტორების სრულფასოვანი გააზრებით უნდა განხორციელდეს. არასრულწლოვნის უფლების დაცვის სფერო ბოლო წლებში დიდი ტრანსფორმაცია განიცადა. ადრე თუ არასრულწლოვანი არ განიხილებოდა დამოუკიდებელი უფლებების მატარებლად, გასული საუკუნის 20-იან წლებში მიღებულმა „ჟენევის დეკლარაციამ“ ვითარება არსებითად შეცვალა. შემდგომ წლებში კი აღნიშნული სფერო კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა და გამყარდა

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36,24/08.1995> (ბოლოს ნანახი: 20.09.2023).

სხვადასხვა აქტებში. შესაბამისად, საინტერესოა, რა გზა განვლო და როგორ უზრუნველყოფს კანონმდებლობა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვას ამ ეტაპზე.

II. ბავშვის უფლებათა სამართალი და პირადი ცხოვრების უფლების დაცვა

ბავშვის უფლებები, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლება, ყველაზე ადვილად შეიძლება დაირღვეს. ამიტომ საზოგადოებას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა – დაიცვას ბავშვთა ინტერესები და ხელი არ შეუწყოს მათი უფლებების დარღვევას.

პირველი ნაბიჯი, რაც გადაიდგა ბავშვის უფლებების დასაცავად იყო ჟენევის დეკლარაცია, რომლითაც შესაძლებელი გახდა ბავშვთა უფლებების აღიარება და რომელიც ორიენტირებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე. კერძოდ, ბავშვის განვითარების, მისი შემწეობისა და დაცვის, ასევე ბავშვის კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებთან. აღნიშნული დეკლარაცია გახდა საფუძველი 1959 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ბავშვთა დეკლარაციის მიღებისა, რომლითაც განისაზღვრა „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“² სტანდარტი. 1985 წელს კი მიღებულ იქნა ე.წ. „პეკინის წესები“, რომელიც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრირების შესახებ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავდა. მისი დახმარებით შესაძლებელი გახდა არასრულ-

წლოვანთა სტიგმატიზაციის თავიდან აცილება, ვინაიდან აიკრძალა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და საჯარო დაწესებულებების მიერ არასრულწლოვანთა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გამჟღავნება. 1989 წელს კი „ბავშვის უფლებათა კონვენცია“³ იქნა მიღებული, რომლის რატიფიცირებაც მსოფლიოს 195 ქვეყანაში მოხდა. გაერომ ბავშვის უფლებათა კონვენციის არაერთი დამხმარე ინსტრუმენტი მიიღო,⁴ რომლის მიზანიც

³ „ბავშვის უფლებათა კონვენციამ“ შეცვალა ბავშვების აღქმაც და მათდამი დამოკიდებულება – ისინი, განსაკუთრებული უფლებების მქონე ადამიანებად იქნენ აღიარებული. კონვენციამ აღიარა, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ. კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან და ის აყალიბებს ბავშვთა კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტებს მათი განვითარების თითოეული ეტაპისთვის. აღნიშნული კონვენცია ეხება 18 წლამდე ასაკის ყველა ადამიანს გენდერის, წარმომავლობის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად. საქართველო „ბავშვის უფლებათა კონვენციას“ 1994 წელს შეუერთდა და იკისრა ვალდებულება, დაიცვას კონვენციით გათვალისწინებული უფლებები.

⁴ ამ ინსტრუმენტებს შორის მნიშვნელოვანია „ჰავანას წესები“, რომელიც 1990 წელს იქნა მიღებული. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არსებით პერსპექტივებს, კერძოდ, სისტემა უნდა მოიცავდეს არასრულწლოვანთა ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის ნამახალისებელ უფლებებსა და გარანტიებს. კანონის დარღვევაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან მოპყრობა უნდა განსხვავდებოდეს იმავე მდგომარეობაში მყოფ ზრდასულებთან მოპყრობისგან, ამ ყველაფერს აქვს შემდეგი საფუძვლები: – მიიჩნევა, რომ ბავშვი ნაკლებად აგებს პასუხს თავის ქმედებებზე, მისი პასუხისმგებლობა იზრდება ასაკის მატებასთან ერთად; – ზრდასრულებთან შედარებით ბავშვები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან უფრო ადვილად ექვემდებარებიან გამოსწორებას და სწავლობენ ქცევის სხვაგვარ წესებს; – ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც მოთავსებულნი არიან წინასწარი პატიმრობის საკნებსა და ციხეებში, დაუცველნი არიან ძალადობისა და ცუდად მოპყრობისაგან და ნაკლებად შეუძლიათ თავის დაცვა. ასევე, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით – „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“, რომელიც დანაშაულის პრევენციის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო, სადაც ძირითადი აქცენტი, კანონიერ, სოციალურად სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმასა და საზოგადოების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების შექმნაზე იყო გაკეთებული. კერძოდ: 1. საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე, რამაც უნდა დააკმაყოფილოს ახალგაზრდების განსხვავებული საჭიროებანი და გამოყენებულ იქნეს მათი განვითარების მხარდასაჭერად. 2. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც რისკის კატე-

² არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს საფუძველი 1800-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ბავშვის მეურვეობის საკითხის გადასაწყვეტად იქნა გამოყენებული. მაგალითად, აშშ-ში 1877 წელს, დაკოტას შტატში, სასამართლომ გამოიყენა აღნიშნული პრინციპი და მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეურვეობის საკითხის გადაწყვეტისას. ამის შემდგომ კი ეს პრინციპი გავრცელდა როგორც აშშ-ში, ისე დასავლეთის ქვეყნებში, იხ. ამასთან დაკავშირებით *Howe, R. Brian./Covell, Katherine, Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, 2013, 18.* არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები კანონმდებლობიდან გამომდინარე მოიცავს – არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაციარეაბილიტაციისა და სხვა ინტერესებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

უფრო მოსახერხებელი სტანდარტის შექმნა და აღნიშნულ სისტემაში მონაწილე პროფესიონალებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების მიწოდება იყო.

კონვენციის რატიფიცირების შემდგომ საქართველოში კანონმდებლობამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც აისახა როგორც საქართველოს სისხლის სამართლის, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სადაც არასრულწლოვანთან მიმართებაში ჩამოყალიბდა სპეციფიკური მიდგომა, რომელშიც არსებითი აქცენტი არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების დაცვაზე გაკეთდა. კერძოდ, დახურულ სასამართლო პროცესზე არასრულწლოვნის საქმის განხილვაზე⁵ და მისი გამოყენების პირობებზე. აღნიშნული ემსახურებოდა იმ ფაქტორს, რომ არ მომხდარიყო საქმეში მონაწილე პირების პირადი ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოს შესახებ ინფორმაციის გახმაურება, რაც მოსამართლეს, პირადი

გორიას განეკუთვნებოდა, ან ემუქრებოდა სოციალური საფრთხე და ესაჭიროებათ სპეციალური ზრუნვა და დაცვა; 3. სპეციალური დოქტრინისა და მიდგომების შემუშავება დანაშაულის აღსაკვეთად, რაც უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო რეგულირებისა და აღსრულების კუთხით, რომლის მიზანსაც უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის ჩადენის მოტივაციის, საჭიროებისა და შესაძლებლობების შესუსტება; 4. იმის გათვალისწინება, რომ ახალგაზრდების ქმედება ან საქციელი, რომელიც არ შეესაბამება სოციალურ ნორმასა და ღირებულებას, ხშირად ახალგაზრდების განვითარებისა და ზრდის პროცესის ნაწილია და უმრავლესობის შემთხვევაში ამგვარი საქციელი თავისთავად გაქრება სრულწლოვანების მიღწევისას; 5. ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებისთვის ისეთი დამლის დამწმენკასთან დაკავშირებით, როგორცაა „კანონის დამრღვევი“ და „დამნაშავე“, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს ახალგაზრდების მიერ არასასურველი საქციელის განმეორებას. აგრეთვე, რიადის სახელმძღვანელო პრინციპები ცალკე თავს უთმობს კანონმდებლობასა და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელებას. აღნიშნული თავი ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა კანონის მიღება და განხორციელება ყველა ახალგაზრდის უფლებების დასაცავად და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს „ვენის პრინციპები“, რომლის მიზანიც ბავშვთა უფლებების კონვენციაში დასახული ამოცანების მიღწევაა.

⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 20/02/1998 (ძალადაკარგულია, 01/10/2010). აღნიშნული ჩანაწერი მოსამართლეს ანიჭებდა უფლებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაეწყვიტა სხდომის ჩატარების პროცედურა და რეჟიმი.

შეხედულებიდან და საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ანიჭებდა უფლებას, მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. მიუხედავად ასეთი მიდგომისა, სადაც ასევე აქტიურად იკვეთებოდა მასმედიის როლიც,⁶ საკითხი მოითხოვდა თავის მხრივ დარეგულირებას. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ მედია უდიდეს როლს თამაშობს დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობაში, ის ადამიანების მიერ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. გაეროს „რიადის სახელმძღვანელო პრინციპებიდან“ გამომდინარე, მედია დანაშაულის პრევენციის შესრულებაშიც უმნიშვნელოვანეს როლად განიხილება და მიჩნეულია, რომ მედიას სათანადოდ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მისი მნიშვნელოვანი სოციალური პასუხისმგებლობისა და ზეგავლენის მომხდენი როლი.⁷ „რიადის სახელმძღვანელო პრინციპების“ გარდა, არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის გაშუქების სტანდარტს არაერთი საერთაშორისო, თუ ევროპული ინსტრუმენტი ადგენს. მათ შორის აღსანიშნავია „პეკინის წესები“, ასევე ევროსაბჭოს გაიდლაინები „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ და იუნისეფის მიერ მიღებული ეთიკური ანგარიშგების გაიდლაინები.⁸

⁶ მედიის ქცევის კოდექსების უმრავლესობა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაზე ცალკე ამახვილებს ყურადღებას. ბავშვთა საკითხებზე ჟურნალისტებმა უნდა დაიცვან კონკრეტული პრინციპები. 16 წლამდე ასაკის ბავშვებთან ინტერვიუს ჩასაწერად ან გადაცემაში წარსადგენად აუცილებელია ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. იმისათვის, რომ ბავშვი არ გახდეს ძალადობისა და ბულინგის მსხვერპლი ან არ მოხდეს მისი სტიგმატიზება, უნდა მოხდეს ბავშვის სახის დაფარვა. ბავშვის დაფარვა აუცილებელია მაშინ, როდესაც ის არის: ბრალდებული, მსჯავრდებული და მოწმე, ასევე ძალადობის, დანაშაულის მსხვერპლი, ან დაკავშირებულია სქესობრივ ძალადობასთან, ან არის ჩართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. ცალკეულ შემთხვევაში, სახის დაფარვაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობა. მისი ამოცნობა შეიძლება შესაძლებელი გახდეს, გარემოს აღწერით, ან სხვა რესპოდენტის იდენტიფიცირებით, აღნიშნული ფაქტორი კი მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული.

⁷ United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines), UN General Assembly, A/RES/45/112, 14 December 1990, Annex, 44-ე პარაგრაფი.

⁸ ეს უკანასკნელი მედიისგან მოითხოვს არასრულწლოვნის სახელის შეცვლასა და მისი ვიზუალის დაფარვას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, UNICEF, Ethical

საქართველოს რაც შეეხება, გვაქვს საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს, რომ აღნიშნული უფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეზღუდოს, თუ ის გათვალისწინებულია ვინმე მიზანმიმართული კანონით და თუ შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.⁹ აქვე უნდა აღინიშნოს „მაუნწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც არასრულწლოვანთან მიმართებაში პირადი ცხოვრების დაცვის მაღალ სტანდარტს ადგენს¹⁰ და ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიის პრინციპები, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ჟურნალისტი ვალდებულია, რომ „დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვთა შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის“. ქართია ასევე ავალდებულებს ჟურნალისტს, პატივი სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.¹¹

მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა არსებით რეფორმირებას საჭიროებდა, რაზეც საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად მიუთითებდნენ საქართველოს.¹²

reporting guidelines, Key principles for responsible reporting on children and young people, Principle III, <https://www.unicef.org/media/reporting-guidelines> (ბოლოს ნანახი: 20.09.2023)

⁹ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 24/06/2004, მუხლი 8.

¹⁰ „მაუნწყებელთა ქცევის კოდექსი“ თანახმად, არასრულწლოვანის ვინაობის გამჟღავნება არც ერთ შემთხვევაში არ არის დასაშვები.

¹¹ იხ. საქართველოს ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტია, <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula>, (ბოლოს ნანახი: 20.09.2023). უნდა აღინიშნოს, რომ ქარტიაში ერთ შემთხვევაში საუბარია იმ გარემოებაზე, რომ არც ერთ შემთხვევაში არ არის დასაშვები ვინაობის გამჟღავნება, მეორე შემთხვევაში კი, მაინც გამოყოფს აღნიშნულის შესაძლებლობას, განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე.

¹² კერძოდ, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც თავისი რეკომენდაციებით მოუწოდებდა საქართველოს, განეხორციელებინა მნიშვნელოვანი რეფორმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის

III. არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები ჩადებულია: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, ბავშვის უფლებათა კოდექსში, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და საქართველოს კანონში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“,¹³ რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების დაცვის ყველაზე მაღალ სტანდარტს გვთავაზობს.¹⁴

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიღებულ იქნა 2015 წლის 12 ივნისს. კოდექსი ერთ საკანონმდებლო აქტში აერთიანებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულების და სხვა საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა კანონმდებლობის სიმარტივეს და განჭვრეტადობას. კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების განხორციელებისას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი მონმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის უფლებების დაცვა და ა.შ.

არასრულწლოვანთან მიმართებაში მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული კონფიდენციალობა. ეს გამოიხატება არასრულწლოვანის ნასამართლობის

სრულყოფის მიზნით; იხ. *კავთუაშვილი, ელენე*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი – დასჯის თუ აღზრდის სამართალი?, ჟურნალში: „სამართალი და მსოფლიო“, №4, 2016, გამომცემლობა „დანი“, 202-203.

¹³ *ქერივიშვილი, თათია*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი 2022, 66

¹⁴ აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ არასრულწლოვანი მაქსიმალურად არის ჩართული სამართალწარმოების მთელ პროცესში, კერძოდ, გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში, და ასევე სასჯელის აღსრულებისა და რეაბილიტაციის პროცესში.

შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების აკრძალვაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლის მეორე ნაწილით ასევე იკრძალება არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გარდა ამისა, აკრძალულია არასრულწლოვნის ბრალდებულად ყოფნის ან სასჯელის მოხდის პერიოდში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში ნასამართლობის შესახებ მითითება. კოდექსის 32-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს არასრულწლოვნის სრულწლოვნისაგან განცალკევებით გასამართლების შესაძლებლობას, რის გამოც გათვალისწინებულია საქმიდან არასრულწლოვნის საქმის გამოყოფა (აღნიშნული შესაძლებელი იყო ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც). შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემა სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე და არ გაამჟღავნოს მისი ვინაობა.

IV. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნემ კაცობრიობის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა, ვინაიდან მოხდა ბავშვის უფლებების სუბიექტურად აღიარება და მოხდა იმის გააზრება, რომ მას ღირსეულად და პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ. მსოფლიოს ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ არასრულწლოვანს სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა, მით უფრო თუ საქმე გვაქვს ისეთ არასრულწლოვანთან, რომელიც კანონთან კონფლიქტში იმყოფება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პრობლემის აღმოფხვრა კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოფხვრით უნდა დაინყოს. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება და სხვადასხვა ალტერნატიული ინსტიტუტის დანერგვა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთლიანი პროცესი ბავშვთა უფლებების დაცვის სფე-

როში – უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ისტორიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ განსხვავებული მიდგომა სისხლის სამართლის სისტემაში დიდი ხანი არაა რაც განვითარდა. მართალია, ადრეულ პერიოდშიც, რიგ შემთხვევებში, ახალგაზრდა ასაკი ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლებოდა, დეტალური რეგულირებისა და ცალკეული ინსტიტუტების მქონე კომპლექსური სისტემები სულ რაღაც ას წელზე მცირე ხნის წინ შეიქმნა.

ის მოსაზრება, რომ არასრულწლოვნები სრულწლოვან პირთაგან განსხვავებულ მიდგომას საჭიროებენ, უფრო და უფრო მეტად განმტკიცდა და XX საუკუნის დასაწყისში, ბრალდებულ ან დამნაშავედ ცნობილ ბავშვებთან მიმართებაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განცალკევებული ინსტიტუციების, სასამართლოებისა და რეგულაციების შექმნა გამოიწვია. შეიქმნა ისეთი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია დანაშაულის თავიდან აცილებაზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, მართალია, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, თუმცა, აღნიშნული სისტემა გარკვეულ ცვლილებებს მაინც საჭიროებს, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული არასრულწლოვნის, როგორც განსაკუთრებული სუბიექტის ინტერესები. კერძოდ, ეს ეხება ნასამართლობის გაქარწყლების, არასრულწლოვნის საქმის ცალკე წამოებად გამოყოფის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალთა სათანადო კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების განვითარებას, მათ რეგულარულ მონიტორინგს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მუდმივ განვითარებას საჭიროებს, კონკრეტული საქმეებისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე.

დამნაშავის პიროვნება – სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი გარემოება

პროფესორი, სამართლის დოქ. *მაია ივანიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

სასჯელის დანიშვნა – სისხლის სამართლის საქმის განხილვის მნიშვნელოვანი სტადიაა. დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრისა და კონკრეტულ დანაშაულში პირის ბრალეულობის დადგენის შემდეგ, მოსამართლემ დამნაშავეს – სამართლიანი, პროპორციული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი სასჯელის სახე და ზომა უნდა შეუფარდოს.

ეს მეტად საპასუხისმგებლო და მრავალმხრივი პროცესია. ის დაკავშირებულია სისხლის სამართლის პოლიტიკასთან, სისხლის სამართლის პრინციპებთან, სასჯელის მიზნებთან და სასჯელის სახეებთან. მართალია, თითოეული ეს საკითხი ცალკეული კვლევის საგანია, მაგრამ სასჯელის დანიშვნასთან მჭიდროდ დაკავშირებული და არსებითი ხასიათის მქონე.

საკითხის აქტუალობა განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ ბოლო პერიოდში სასჯელისა და მისი შეფარდებისას გასათვალისწინებელი გარემოებების შესწავლით ქართველი მეცნიერები უფრო მეტად დაინტერესდნენ. ამის დასტურია, ის რომ საქართველოში აღნიშნულ საკითხს არაერთი კვლევა, სახელმძღვანელო და სადისერტაციო ნაშრომი მიეძღვნა.¹ სისხლისსამართლებრივ სანქციებთან და სასჯელის შეფარდებასთან დაკავ-

შირებით მნიშვნელოვანია ქართველ და გერმანელ მეცნიერთა სტატიები, რომელიც კრებული სახით გამოიცა და თანამედროვე მიგნებებით სიახლეს წარმოადგენს სისხლის სამართლის თეორიასა თუ პრაქტიკაში.²

სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე დღეს მეტად აქტუალურია სასჯელის შეფარდებისას ინდივიდუალიზაციის პრინციპის მეცნიერული კვლევა.

არ შეიძლება სასჯელი იყოს სამართლიანი, თუ იგი ინდივიდუალიზებული არ იქნება. ამასთან, სისხლის სამართლის პოლიტიკის შემოქმედთა წრე არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონმდებლით, რაც ქართული სისხლის სამართლის განვითარებას კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს.³

სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის⁴ 53-ე მუხლით. აღნიშნული ნორმა იმდენ საკვანძო საკითხს მოიცავს, რომ თითოეული მათგანი დამოუკიდებელ კვლევას ნამდვილად იმსახურებს. ყველა გარემოების განხილვა ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომ მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული ის გარემოება, რომელიც საკანონმდებლო კონსტრუქციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ეს გახლავთ დამნაშავის პიროვნების საკითხი.

სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ სხვა გარემოებებთან ერთად, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას ითვალისწინებს. აღნიშნულ მუხლში სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ გარემოებად ცალკე

¹ *ლეკვიშვილი, მზია/ ნაჭყებია, გურამ/ ივანიძე, მაია/ თოდუა, ნონა/ მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან/ ცქიტიშვილი, თემურ*, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016; *ვარძელაშვილი, იოსებ*, სასჯელის მიზნები, 2016; *მახარობლიძე, თამარ*, სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, წიგნში: არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, 2017; *გამყრელიძე ოთარ/თოდუა, ნონა/ ივანიძე, მაია*, და სხვები (გამომცემლები), სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება, 2021; *ფაფიაშვილი ლალი/ივანიძე, მაია/თოდუა ნონა/ ცქიტიშვილი, თემურ/ ხერხეულიძე, ირინე*, სანქციები სისხლის სამართალში, 2019.

² *გამყრელიძე ოთარ/თოდუა, ნონა/ ივანიძე, მაია*, და სხვები (გამომცემლები), სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება, 2021.

³ *ობანაშვილი, ანრი*, სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური ტენდენციები საქართველოში, DGSIZ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი) 4/2022, 153 (ქართულენოვანი ვერსია).

⁴ შემდგომ შემოკლებულია, როგორც სსკ.

არ არის მითითებული დამნაშავეს პიროვნება. სხვაგვარ მიდგომას ვხვდებით საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში.⁵ აღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს. ამკ-ის 75-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისათვის სასჯელის შეფარდებისას მოსამართლე პირველ რიგში ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს ასახული არასრულწლოვანის პიროვნული მახასიათებლები და ის გარემო, სადაც მას რეალურად უნევს ყოფნა. ამკ-ით გათვალისწინებული ყველა ეს გარემოება მისასაღმებელია და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესით არის განპირობებული.

ნაშრომის მიზანია დამნაშავეს პიროვნების, როგორც სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი გარემოების საკითხი მოცემული იყოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში.

ეს კი მატერიალური სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპების (ინდივიდუალიზაციის, პროპორციულობის პრინციპები), გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

დამნაშავეს პიროვნების, როგორც სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი გარემოების საკითხი საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისა და მათი საკანონმდებლო სისტემასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

II. დამნაშავეს პიროვნების საკითხი სასჯელის დანიშვნისას

თითოეული პიროვნება განსაზღვრული სოციალური ტიპია, რომელიც შესწავლილი უნდა იქნეს მის მოქალაქეობრივ, მორალურ-ეთიკურ და პოლიტიკურ თვისებათა ქრილში.⁶

⁵ შემდგომ შემოკლებულია, როგორც ამკ.

⁶ *ლეკვეიშვილი, მზია*, სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, წიგნში: სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 198.

სასჯელის დანიშვნისას არსებითი ხასიათის მქონეა სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული გარემოებანი. ამ გარემოებათა კონკრეტულ ჩამონათვალში ვერ ვხვდებით დამნაშავეს პიროვნებას, როგორც სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების ნუსხა შემდეგია: პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავეს წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მისი მისწრაფება აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

დასახელებულ გარემოებათაგან თითოეული მათგანი უშუალოდ დაკავშირებულია დამნაშავეს პიროვნებასთან. ის მრავლისმომცველია. პიროვნება განსაკუთრებული ფენომენია თავისი ღირებულებებით: ინტელექტით, განათლებით, მსოფლმხედველობით, ნებელობით, მოვლენებისადმი დამოკიდებულებით.

დამნაშავეს მიერ ჩადენილი ქმედების, დამდგარი შედეგის და ზემოთჩამოთვლილი მთელი რიგი გარემოებების შეფასებით ხდება, როგორც ქმედების კვალიფიკაციის, ასევე სასჯელის სახისა და ზომის შერჩევა. ამ თვალსაზრისით მთავარია დამნაშავეს პიროვნებაა, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს.

საკანონმდებლო კონსტრუქციის კუთხით ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი ცალკე ითვალისწინებდეს დამნაშავეს პიროვნებას. ამ საკითხის ირგვლივ ხშირია მეცნიერული შეფასებები. არსებობს მოსაზრება, რომ წარსული ცხოვრება თავისთავად მოიცავს დამნაშავეს პიროვნებას. რთულია ამ მოსაზრების გაზიარება, რამდენადაც თავად დამნაშავენიც განსხვავდებიან ფსიქოლოგიურად, მორალურად. განსხვავდება მათი ასაკი, ქცევა, ხასიათი, პიროვნული და სოციალური პროფილი, დამნაშავეს ტიპოლოგია⁷, რაც თავისთავად მხოლოდ მისი წარსული არ არის.

⁷ *შალიკაშვილი, მორის*, დამნაშავეს პიროვნება და დანაშაული, ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, 2011, გვ.168.

მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ადამიანი ხასიათდება აგრესიულობით და ეს თვისება ზოგადად მის საქციელში ვლინდება. ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული ე. წ. დიდი ხუთეული არის მოდელი, რომელიც განაპირობებს პიროვნების ქცევას:

1) ლიაობა; 2) ორგანიზებულობა; 3) ექსტრავერტობა (ექსტრავერსია); 4) კეთილმოსურნეობა 5) ნევროტიციზმი.

ზოგადად ხასიათის თვისება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების დამნაშავედ ჩამოყალიბებაზე (ალტრუიზმი, ემპათია იმპულსურობა);⁸

იურიდიულ მეცნიერებაში ხშირად ხაზგასმას ხდება პიროვნების ქცევაზე, როგორც პიროვნების შინაგანი ბუნების გამოვლენის საშუალებაზე, ასევე მნიშვნელოვანია დამნაშავის პიროვნების საკითხი. ზოგიერთი კრიმინოლოგი მას დანაშაულის ჩამდენ პირს უწოდებს,⁹ ზოგი დამნაშავეს,¹⁰ ზოგიერთი კი უშუალოდ დამნაშავეობასთან მიმართებით განიხილავს.¹¹

ტერმინ „დამნაშავის“ კუთხით საინტერესოა სსკ-ის 39-ე მუხლი, სადაც სასჯელის მიზნების ჩამონათვალში მოცემულია ტერმინი „დამნაშავე“. კერძოდ, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. პროფ. გურამ ნაჭყებია ტერმინ დამნაშავეს არაიურიდიულ ტერმინად განიხილავდა.¹²

სასჯელს აქვს სოციალური ფუნქცია. პირს სასჯელი ეკისრება არა მარტო ჩადენილი ქმედებისათვის, არამედ იგი მიმართულია სოციალური ჩვევის შეცვლისკენ. სასჯელის მიზანიც ხომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავის გამოსწორება და მისი რესოციალიზაციაა, ამიტომ დამნაშავის პიროვნების ღრმა შესწავლა სასჯელის მიზანს ემსახურება.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსასაზღვრად სასამართლო უნდა ფლობდეს პიროვნების

მახასიათებლებს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, რომ პიროვნების შესწავლის საკითხი ამოიწურება მხოლოდ მისი სამსახურიდან, მეზობლებიდან მიღებული დახასიათებით. რაც არ არის საკმარისი პიროვნების ფსიქო-სოციალური პორტრეტის წარმოსადგენად.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი 132-24-ე მუხლი ადგენს, რომ სასამართლოს კანონით დადგენილ ფარგლებში გამოაქვს სასჯელი, რომელიც ეფუძნება ჩადენილი დანაშაულის გარემოებებსა და დამნაშავის პიროვნებას. ფრანგულ კოდექსში გამოიყენება ტერმინი „პერსონალიზაცია“ „ინდივიდუალიზაციის“ ნაცვლად.¹³

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის სამართლებრივი ჩარჩო ძალიან ფართოა, რაც ხელს უწყობს სასჯელის დანიშნვისას მის ინდივიდუალიზაციას ქმედებისა და დამნაშავე პიროვნების მახასიათებლებიდან გამომდინარე.¹⁴

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე პარაგრაფით გათვალისწინებულია გარემოებები, რომლებიც მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშნვის დროს და თითქმის ანალოგიურია საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებებისა.

გერმანიის, ტიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტის პროფესორი, კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი იორგ კინციგი თავის მოხსენებასა და სტატიაში ხაზს უსვამს გარემოებას, რომ სასჯელის შეფარდების დროს აუცილებელია პრევენციული მიზნების გათვალისწინება.

ავტორის მოსაზრებით, ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დამნაშავის მომავალი თანაცხოვრებისათვის სასჯელის ზეგავლენის გათვალისწინება. სწორედ ამ გარემოების მხედველობაში მიღებით, სასჯელი ისე უნდა განისაზღვროს, რომ მანამდე კარგად სოციალიზებული დამნაშავის დესოციალიზაცია არ მოხდეს.¹⁵

⁸ Wortley, Richard, Crime, Science Series, Psychological Criminology, An integrative approach, 1 Criminal psychology.1 Title HV6080 W67 2011, p. 91.

⁹ ნულაია, ზაური, კრიმინოლოგია, (ზოგადი ნაწილი), 2003, გვ. 73.

¹⁰ შალიკაშვილი, მორის, კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, 2017, გვ. 211.

¹¹ Кузнецова, Н.Ф., Преступление и преступность, 1969.

¹² ნაჭყებია, გურამ, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, 2006, გვ. 157-158.

¹³ Papatheodoru, Theodore, De Individualizatio, des peines et la personalization de Sanctions Revue international de criminology ed de police technique, No. 1, 1993, p.109.

¹⁴ Ristea, Ion, Considerations on the concept of Personalizing the penalties, Lex ET Scientia International Journal, Issue No XX, Vol. 2, 2013, p.136-137.

¹⁵ Kinzig, Jörg, Überblick über die Grundsätze der Strafzumessung im Deutschen Recht, Strafrechtliche Sanktionen und Strafzumessung, 2021.

საერთაშორისო სასამართლო სასჯელის შეფარდებისას გასათვალისწინებელ გარემოებათა ნუსხაში ხაზს უსვამს მსჯავრდებულის პიროვნებას. პიროვნება განსაკუთრებული ფენომენია თავისი განათლებით, მსოფლმხედველობით, ნებელობით, მოვლენებისადმი დამოკიდებულებით.

საქმეში „ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“ კომისიის წინაშე განაცხადის შეტანის მომენტში ყველა განმცხადებელი იყო წვევამდელი ჯარისკაცი, რომლებიც მსახურობდნენ ნიდერლანდების შეიარაღებულ ძალებში და ჰქონდათ სხვადასხვა თადარიგის წოდება. მათ შეეფარადათ განსხვავებული სასჯელები თავიანთი ნაწილების სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევისათვის. მოცემულ საქმეში სასჯელების ხასიათი დამოკიდებული იყო სამართალდამრღვევთა წოდებებზე. 1903 წლის კანონის შესაბამისად დისციპლინური სასჯელების აღსრულების წესი განსხვავდებოდა წოდებების მიხედვით.¹⁶ მაშასადამე, დამნაშავეს პიროვნება, მისი დამსახურება, მისი წოდება – ინდივიდუალური ნიშანია.

როგორც ეროვნულ სასამართლოში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დამნაშავეს პროფესიული საქმიანობა, როგორც მისი ინდივიდუალური ნიშანი, სასჯელის შეფარდების დროს შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის გახდეს. სასჯელის დანიშვნისას ასევე გასათვალისწინებელია პროფესიისადმი დამოკიდებულება და პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გამოხატვის ფორმა. კონკრეტულ საქმეში ევროპული სასამართლო დამნაშავეს პროფესიიდან გამომდინარე მსჯელობს და აღნიშნავს, რომ მომჩივანს, როგორც პროფესიონალ ჟურნალისტს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ.¹⁷

ცხადია, იდეალური იქნებოდა, რომ ინდივიდუალობის თეორიიდან გამომდინარე, თითოეული

დამნაშავე შესწავლილიყო სპეციალურად მისთვის შემუშავებული მეცნიერული პროგრამით ამ ინდივიდის სულიერი და ფიზიკური ორგანიზაციის საფუძველზე.¹⁸ ამ კუთხით მნიშვნელოვანია ამკ, რომელიც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შესწავლის აუცილებლობას ანებს არასრულწლოვანი დამნაშავესთვის სასჯელის დანიშვნისას.

III. არასრულწლოვანი დამნაშავესათვის სასჯელის დანიშვნის თავისებურებანი

საქართველოში არსებული სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკა განსაკუთრებულ ასახვას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგად პრინციპებში ჰპოვებს. იგი აქტიურად ვლინდება არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებსა და არასრულწლოვანისათვის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისას.

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა სხვა პრინციპთა შორის უმთავრესია. მართალია, არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნისას ჩვენს ქვეყანაში აქტიურად მოქმედებს თანაზომიერების პრინციპი, ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობის პრინციპი, პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების პრინციპი, არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპი, მაგრამ უმთავრეს და ამოსავალ პრინციპად არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი რჩება.

სწორედ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი არის მითითებული ამკ-ის 75-ე მუხლში სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ უპირველეს გარემოებად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშთან ერთად. ორივე გარემოება დამნაშავე არასრულწლოვანის პიროვნების კარგად შესწავლას და ინდივიდუალური მახასიათებლების გამოკვეთას ემსახურება.

სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედეგნა მიზნად ისახავს არასრულწლოვანის სოციალური გარემოს, მისი უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების

¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 08.06.1976 წლის გადაწყვეტილება საქმეზე „ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Nr. 5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72, 5370/72, განაჩენთა კრებული, ნიგნი II, 2004, 9.

¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (დიდი პალატი) 29.03.2016 წლის გადაწყვეტილება საქმეზე „ბედატი შვეიცარიის წინააღმდეგ“, Nr. 56925/08, <https://hudoc.echr.coe.int/fre/?i=001-161898> (ბოლოს ნანახია: 02.10.2023).

¹⁸ *Путкин, А. А. /Кузмичева, Л .А., Правоведение 1985, N 1, с. 96.*

შესწავლას, რამაც მოსამართლეს ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური სასჯელის შეფარდების პროცესში.

სასჯელის დანიშნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსამართლეს სრული წარმოდგენა ექმნება არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნების შესახებ.

მოსამართლემ ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით სრულად უნდა შეისწავლოს არასრულწლოვნის აღზრდისა და ცხოვრების პირობები, არასრულწლოვნის შრომასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები, სწავლისადმი მიდრეკილება, მისი ინტერესები, მეგობრების წრე, წარსულში გადატანილი სტრესი (მშობლების განქორწინება), არის თუ არა ძალადობის მსხვერპლი, არის თუ არა კონფლიქტური, ასევე სხვა პიროვნული მხარეები.

არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის საჩივარი სასჯელის დამძიმებასთან დაკავშირებით და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებული საშეღავათო გარემოება ძალაში დატოვა.¹⁹

არასრულწლოვანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამკ-ის 76-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 (ერთი) წელი და 04 (ოთხი) თვე. მას ამავე კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე, დანიშნული სასჯელის, თავისუფლების აღკვეთის ვადა შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 01 წლით, რაც ამკ-ის 74-ე მუხლის შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 01 (ერთი) წელი. საგულისხმოა მოსამართლემ რა გარემოებები მიიღო მხედველობაში სასჯელის დანიშნისას. კერძოდ, ის რომ არასრულწლოვანი არ ხასიათდებოდა გამომწვევი ქცევით, არ მოიხმარდა ალკოჰოლსა და სხვა მავნე ნივთიერებებს, არ ავლენდა აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას, არ იყო დესტრუქციული ქცევების გამომხა-

ტველი. არასრულწლოვნის დედამ განმარტა, რომ მოზარდს ჰქონდა პროტესტი მამის მიერ ალკოჰოლის მიღების ფაქტებთან დაკავშირებით, რაც იწვევდა მამა-შვილს შორის სიტყვიერ დაპირისპირებას. არასრულწლოვანი კეთილგანწყობას გამოხატავდა დედამამიშვილების მიმართ. იგი ნანობდა მომხდარს და მომავალს უყურებდა ოპტიმისტურად. მას სურდა სწავლის გაგრძელება.

სწორედ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გათვალისწინებით, მოსამართლემ გამოიყენა ამკ-ის 76-ე მუხლი, კერძოდ, ამ მუხლით გათვალისწინებული საშეღავათო გარემოება და ყაჩაღობის ფაქტზე სასჯელით განსაზღვრულ მინიმუმზე ნაკლები სასჯელი დაუნიშნა არასრულწლოვანს.

ეს გახლავთ ის ნოვაცია, რომელიც ამკ-მა შემოგვთავაზა. კანონით გათვალისწინებულზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის გათვალისწინება, თუ არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი არ ყოფილა გამოყენებული და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა.

კანონმდებლობით განსაზღვრულ ამ საშეღავათო გარემოებით ისარგებლა მოსამართლემ საქმე № 1/2469-16 და ამკ-ის 76-ე მუხლი გამოიყენა.

მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ არასრულწლოვანს 6 (ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. საქმე ეხებოდა სიცოცხლის მოსპობის მუქარას დანის გამოყენებით. კერძოდ, 13 ლარის ფულადი თანხის გატაცებას. ინდივიდუალური ანგარიშის შესწავლის საფუძველზე, სასამართლომ იმსჯელა იმის თაობაზე, რომ პირს არ ჰყავდა ოჯახი, მისი საცხოვრებელი ადგილი მუდმივად იცვლებოდა, იგი ქუჩაში ვაჭრობით იყო დაკავებული. სასამართლომ მიიჩნია, რომ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების შემთხვევაში პირი ვერ შეასრულებდა კანონით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მოსამართლეთა მიერ, არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გათვალისწინებით, საშეღავათო გარემოებები გამოყენებულ იქნა ზესტაფონის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.²⁰

¹⁹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 12.12.2019 წლის გადაწყვეტილება, №1/ბ-747.

²⁰ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 20.02.2017 წლის გადაწყვეტილება №1/1-2107; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 22.03.2016 წლის გადაწყვეტილება.

სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსამართლეს სრული წარმოდგენა ექმნება არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნების შესახებ.

პირველ რიგში, მოსამართლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს არასრულწლოვნის პიროვნებაზე, მისი ცხოვრების წესზე, წარსულ ცხოვრებაზე, ხოლო აღნიშნულის შემდეგ მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის სიმძიმე.

პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, იმისთვის რომ სასჯელი იყოს ბავშვის გარემოებების პროპორციული, სასჯელის შეფარდება ინდივიდუალიზებულად უნდა მოხდეს.²¹

დამნაშავის პიროვნება, მისი ინტელექტი, ხასიათის თვისებები, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მისი აღზრდის თავისებურებანი, განვლილი ცხოვრება, გამოცდილება, ცხოვრების წესი, უნარ-ჩვევები, მისწრაფებები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ყოველი დამნაშავის მიმართ.

IV. დასკვნა

სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასჯელის დანიშვნის დროს გასათვალისწინებელ სხვა გარემოებებთან ერთად აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს დამნაშავის პიროვნებას, როგორც სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ მნიშვნელოვან გარემოებას.

ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მოსამართლის მხრიდან დამნაშავის პიროვნების შესწავლა არსებითი ხასიათის მქონეა და მნიშვნელოვანია, როგორც სასჯელის სახისა და ზომის შერჩევას, ასევე სასჯელის მიზნების განხორციელების კუთხით. სასჯელი ხომ თავის მიზანს მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც ის სამართლიანი, პროპორციული და თანაზომიერია. პირისათვის შეფარდებული სასჯელი სამართლიანი რომ იყოს, იგი უნდა შეესაბამებოდეს დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

სასჯელის მეორე მიზანი – ახალი დანაშაულის თავიდან აცილება – სწორედ დამნაშავის მხრიდან მომავალში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას გულისხმობს და პრევენციული მიზნების განმახორციელებელია.

რაც შეეხება რესოციალიზაციას – ის საკანონმდებლო კუთხით სწორედ დამნაშავის რესოციალიზაციის სახით არის ფორმულირებული .

ამკ საუკეთესო ინტერესის დაცვასთან ერთად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინდივიდუალური ანგარიშის გათვალისწინებასა და განზოგადებას. საკითხი ასეთი ფორმით უნდა იქნეს შესწავლილი არა მხოლოდ არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ, არამედ თითოეული პიროვნების მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და რომელსაც სასამართლომ სამართლიანი, პროპორციული და თანაზომიერი სასჯელი უნდა შეუფარდოს.

²¹ *ჰამოლტონი, ქეროლინ*, წიგნში: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 101.

წარმატებული სამედიცინო ჩარევის დოგმატიკური შეფასებისათვის ქართულ მედიცინის სისხლის სამართალში

ასოცირებული პროფ. სამართლის დოქ. *ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი*, სამართლის მაგისტრი (იენა), საქართველოს უნივერსიტეტი

I. შესავალი: მედიცინის სისხლის სამართლის განვითარების პირველი ნაბიჯები საქართველოში

გასული საუკუნის 90-იანი წლებში განხორციელებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმას და სისხლის სამართლის დოგმატიკის მოდერნიზაციას სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით,¹ საქართველოში მედიცინის სისხლის სამართლის, როგორც დამოუკიდებელი, კომპლექსური დარგის ჩამოყალიბება-განვითარებისაკენ სწრაფვა არ მოჰყოლია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მედიცინის სისხლის სამართლის ძირითადი პრობლემები მეცნიერთა ყურადღების გარეშე დარჩა, რადგან ისინი კლასიკური სისხლის სამართლის (როგორც ზოგადი, ასევე კერძო ნაწილის) ფარგლებში განიხილებოდა.²

საქართველოში მედიცინის სისხლის სამართლის დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად და მეცნიერების კომპლექსურ დარგად ჩამოყალიბების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს პროფ. *ერიკ ჰილგენდორფის* სახელმძღვანელოს „შესავალი მედიცინის სისხლის სამართალში“ ქართულ ენაზე

¹ Korošec, Damjan, in Hoyer/Müller/Pawlik/Wolter, Das neue slowenische Medizinstrafrecht, FS für Friedrich-Christian Schroeder zum 70. Geburtstag, 2006, S. 819.

² *დვალიძე, ირაკლი*, წიგნში: ნაჭყებია/დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, გვ. 275-281; *თოდუა, ნონა*, წიგნში: მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2016, გვ. 123-128; *თოდუა, ნონა*, წიგნში: თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი პირველი, 2023, გვ. 152-198, 168-176; *ლეკვეიშვილი, მზია*, დაზარალებულის თანხმობა, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, სამართლის ჟურნალი №1-2, 2010, გვ. 172; *სადრაძე, თამარ*, ევთანაზია და ფეტუსის სისხლისსამართლებრივი დაცვის პრობლემები, 2012; *სურგულაძე, ლამარა*, სისხლის სამართალი, დანაშაული, 2005, გვ. 284; *ტურავა, მერაბ*, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 398-400; *ხერხეულიძე, ირინე*, წიგნში: ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2016, გვ. 374-387.

თარგმნა,³ 2019 წელს მედიცინის სამართლის საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების მიერ და ამ კონფერენციის მასალების გამოქვეყნება ბერლინში სახელწოდებით – „მედიცინის სისხლის სამართალი გერმანულ-ქართულ შედარებით ჭრილში“.⁴ ხსენებული კრებული მედიცინის სამართლის მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მედიცინის სისხლის სამართლის პრობლემათა ფართო სპექტრს ეხება, თუმცა პაციენტის ინფორმირებული თანხმობის სიღრმისეული სისხლის-სამართლებრივ-დოგმატიკური ანალიზი ყურადღების გარეშე დარჩენილი.⁵

II. ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის ისტორიული ექსკურსი

საბჭოთა კავშირში, სახელმწიფო იდეოლოგიიდან გამომდინარე, 1921 წლიდან აკრძალული იყო კერძო სამედიცინო პრაქტიკა, 1936 წლის საბჭოთა კონსტიტუციამ კი განამტკიცა მოქალაქის უფლება უფასო სამედიცინო დახმარებაზე, რაც სოციალური სამართლიანობის პრინციპის გამოხატულებად იყო აღქმული. რადგან ექიმს, როგორც „პროფესიულ ცოდნას დაუფლებულ ქველმოქმედსა“ და პაციენტს შორის პარტნიორული ან სახელშეკრუ-

³ *ჰილგენდორფი, ერიკ*, შესავალი მედიცინის სისხლის სამართალში, 2020 წელი.

⁴ Hilgendorf/Mtschedlischwili-Hädrich/Ivanidze/Kusche/Shalikasvili/Todua, Medizinstrafrecht im deutsch-georgischen Vergleich, 2022.

⁵ პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არსი და მნიშვნელობა ამ კრებულში სამოქალაქო სამართლის გადმოსახედიდანაა განხილული იხ.: *გელაშვილი, ირმა*, პაციენტის ავტონომიის პატივისცემა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, წიგნში: Hilgendorf/Mtschedlischwili-Hädrich/Ivanidze/Kusche/Shalikasvili/Todua, Medizinstrafrecht im deutsch-georgischen Vergleich, 2022, S. 231-244.

ლებო ურთიერთობა პრაქტიკულად გამოირცხა, საბჭოთა სამედიცინო დეონტოლოგია პატერნალიზმის პრინციპს დაეფუძნა. პატერნალისტური მიდგომისას პაციენტის ინტერესების განსაზღვრა ექიმის პრეროგატივას წარმოადგენდა, ამიტომაც ინდივიდუალური და ტექნიკურად სწორი სამედიცინო ჩარევა, *lege artis* – სამედიცინო ხელოვნების წესების ზუსტი დაცვით განხორციელებული კიდურის ინდივიდუალური ამპუტაციის ჩათვლით, საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებად, პროფესიული მოვალეობის შესრულებად კვალიფიცირდებოდა.⁶

აქვე ყურადსაღებია ისიც, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, პროფესიული მოვალეობის შესრულება, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების (მართლწინააღმდეგობის) გამომრიცხველი ზეკანონური გარემოება, დანაშაულის ერთსაფეხურიანი აგებულებიდან გამომდინარე, დანაშაულის შემადგენლობასაც გამოორიცხავდა. შესაბამისად, ინდივიდუალური და *lege artis* სამედიცინო ჩარევა საბჭოთა სამართლის მიხედვით, სოციალურად ადექვატურ ქმედებად იყო აღქმული.

გასული საუკუნის 90-იანი წლებში პოლიტიკური სისტემის ცვლილებამ სამართლის სისტემასა და კერძოდ, მედიცინის სამართლის კანონმდებლობაზეც იქონია ზეგავლენა. საქართველოში, საერთაშორისო აქტების და დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობის, დოგმატიკის და პრაქტიკის გამოცდილების გათვალისწინებით, ჯანდაცვის სფეროში არსებული ურთიერთობების დამარეგულირებელი ახალი ნორმატიული ბაზა შეიქმნა. ეროვნულმა სამართალმა და სამედიცინო დეონტოლოგიამ პატერნალიზმის პრინციპზე უარი თქვა და პაციენტის ავტონომიის, ექიმსა და პაციენტს შორის პარტნიორობის პრინციპზე გადავიდა.⁷ პაციენტის

უფლებების შესახებ საქართველოს კანონში პაციენტის ინფორმირებულ თანხმობას ერთი მთლიანი თავი (თავი IV, თანხმობა) მიეძღვნა, საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში კი (ამ კანონის 44-ე მუხლი) სამედიცინო მომსახურების განწესის აუცილებელი წინაპირობად ინფორმირებული (ზეპირი ან წერილობითი) თანხმობა იქნა მიჩნეული. სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულ იქნა, რომ სამედიცინო ჩარევის მართლზომიერებისათვის ფაქტობრივი (პაციენტისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროება) და იურიდიული (პაციენტის თანხმობა) საფუძველია საჭირო და პაციენტის ინფორმირებული თანხმობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა.⁸ შესაბამისად, დღეისათვის ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულებაში, პაციენტის თანხმობის დოგმატიკურ ადგილად დანაშაულის მეორე (მართლწინააღმდეგობა) საფეხური განისაზღვრა. საკითხავია, გულისხმობს თუ არა ქართულ სისხლის სამართალში პაციენტის თანხმობის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად აღიარება იმას, რომ ინდივიდუალური, ტექნიკურად სწორი (*lege artis*), სამედიცინო ხელოვნების წესების სრული დაცვით ჩატარებული და წარმატებული ურთულესი ოპერაცია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახი დაზიანების შემადგენლობას ასრულებს.

III. თვითნებური მკურნალობა სამართალშედარებით ჭრილში

პაციენტის თანხმობის გარეშე ჩატარებული სამედიცინო ჩარევა სხეულის დაზიანებად გერმანიაში რაიხის სასამართლომ 1894 წელს ქირურგის მიერ შვიდი წლის ბავშვისათვის ფეხის ტარსალური

⁶ *სურგულაძე, ლამარა*, სისხლის სამართალი, დანაშაული, 2005, გვ. 284.

⁷ *გელაშვილი, ირმა*, პაციენტისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის თავისებურებები, მართლმსაჯულება და კანონი, №4, 2020, გვ. 8; *გელაშვილი, ირმა*, სამედიცინო სამართლის პრინციპები, მართლმსაჯულება და კანონი, №2, 2021 გვ. 39; *გელაშვილი, ირმა*, პაციენტის ავტონომიის პატივისცემა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, წიგნი: Hilgendorf/Mtschedlischwili-Hädrich/Ivanidze/Kusche/Shalikavili/Todua, Medizinstrafrecht im deutsch-georgischen Vergleich, 2022, S. 231-244; *გორდელაძე, დავით/ჩაჩიბაია, თამარ*, ბიოეთიკა და სამედიცინო

სამართალი, 2005, გვ. 25; *გოცირიძე, ევა*, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული; ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, წიგნი: კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, 2007, გვ. 56; *ჩაფიძე, გარი*, სამედიცინო დეონტოლოგია, 2014, გვ. 48 და მომდევნო.

⁸ *ლევკვიშვილი, მზია*, დაზარალებულის თანხმობა, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, სამართლის ჟურნალი №1-2, 2010, გვ. 172; *ტურავა, მერაბ*, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 398-400.

ძვლის ტუბერკოლოზური დაავადების გამო ტერფის მოკვეთის საქმის განხილვისას ჩათვალა. ქირურგიული ჩარევა იყო ინდიცირებული და წარმატებული, თუმცა ბავშვის მამა, რომელიც ნატორუპათიას მისდევდა, ამ ოპერაციას პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტენიკურად სწორად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ დაავადების პროგრესირება შეჩერდა და ბავშვი ამის შემდეგ ნორმალურად ვითარდებოდა, რაიხის სასამართლომ ქირურგის ქმედება სხეულის დაზიანებად დააკვალიფიცირა და ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ ჩათვალა იმ არგუმენტით, რომ გადამწყვეტი საქმის შეფასებისას ექიმის ქმედების მიზანი (მკურნალობა) ანდა სამედიცინო ჩარევის წარმატებული შედეგი კი არა, არამედ ექიმისა და პაციენტის ნების თანხვედრაა.⁹ გერმანიის სისხლის სამართლის პრაქტიკა დღევანდლამდე ამ შეხედულებას უჭერს მხარს და სამედიცინო ჩარევას, შედეგის მიუხედავად, სხეულის დაზიანებად აკვალიფიცირებს, რომლის უმართლობა პაციენტის თანხმობამ უნდა გამოირიცხოს.¹⁰

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ექიმის თვითნებური (ინფორმირებული თანხმობის გარეშე, ინფორმირებული თანხმობის საწინააღმდეგოდ) ქმედება სისხლისსამართლებრივად სხვადასხვანაირად ფასდება. იმ ქვეყნებში, რომლებშიც სამკურნალო ჩარევა სხეულის დაზიანების შემადგენლობებიდან სიტყვიერად არაა გამოირიცხული, სადავოა, ასრულებს თუ არა თვითნებური, თუნდაც ინდიცირებული, სამედიცინო ხელოვნების წესების სრული დაცვით ჩატარებული და წარმატებული მკურნალობა სხეულის დაზიანების შემადგენლობას¹¹

⁹ RGSt 25, 375 (382). რაიხის სასამართლომ ექიმის მიმართ გამოტანილი ჰამბურგის სააპელაციო სასამართლოს გამართლებელი განაჩენი ამ დასაბუთებით გააუქმა და საქმე ხელახალი განხილვისათვის უკან დააბრუნა, თუმცა ჰამბურგის სასამართლოს ხელახალი განხილვის შემდეგ გამამტყუნებელი განაჩენი არ გამოუტანია იმ დასაბუთებით, რომ ექიმს „ეგონა, რომ მას ამპუტაციის უფლება მას ადგილზე არმყოფი კანონიერი წარმომადგენლის სავარაუდო ნების საფუძველზე ჰქონდა... ბრალდებულს ეგონა, რომ იგი ნებისმიერი გონიერი ადამიანის ნების შესაბამისად მოქმედებდა.“ *Ulsenheimer, Klaus, Arztstrafrecht in der Praxis*, 5. Aufl., 2015, Rn. 327.

¹⁰ *Tsambikakis, Michael* in *Tsambikakis/Rostalski, Medizinstrafrecht*, 2023, §223, Rn. 26.

¹¹ *Eser, Albin*, Zur Regelung der Heilbehandlung in rechtsvergleichender Perspektive, in *Weigend/Küpper*, FS für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, 1999, S. 475.

(გერმანია, საფრანგეთი¹², იტალია, ნორვეგია, შვედეთი და სლოვენია¹³). ევროპის ქვეყანათა ნაწილში (დანია, პოლონეთი და ესპანეთი) თვითნებური მკურნალობა ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება (იძულება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა). ავსტრიასა და პორტუგალიაში კი თვითნებური მკურნალობის სპეციალური შემადგენლობები არსებობს.¹⁴

თვითნებური წარმატებული სამედიცინო ჩარევის შესახებ დისკუსია გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში რაიხის სასამართლოს მიერ ზემოთხსენები გადამწყვეტილების შემდეგ არ ცხრება. გაბატონებული მოსაზრებით, სამედიცინო ჩარევისას უმართლობა კი არა, ქმედების შემადგენლობა გამოირიცხება.¹⁵ დოგმატიკოსთა დიდი ნაწილი ქმედების შემადგენლობის შესაბამისად არ თვლის თვითნებურ წარმატებულ სამედიცინო ჩარევას, რომელმაც პაციენტის სხეულებრივი კეთილდღეობა გააუმჯობესა, ანდა შეინარჩუნა (სხეულებრივი კეთილდღეობის ინტერესის თეორია),¹⁶

¹² აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ საფრანგეთში სიცოცხლე და სხეულებრივი მთლიანობა არაა განკარგავდი სამართლებრივი სიკეთე, შესაბამისად, სამედიცინო ჩარევით გახორციელებული სხეულის დაზიანების უმართლობა პაციენტის თანხმობით კი არა, პაციენტის გამოჯანსაღების ინტერესით გამოირიცხება. იხ.: *Eser, Albin*, Zur Regelung der Heilbehandlung in rechtsvergleichender Perspektive, in *Weigend/Küpper*, FS für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, 1999, S. 472.

¹³ სლოვენიაში ტექნიკურად სწორი სამედიცინო ჩარევის მართლწინააღმდეგობა სამედიცინო მეცნიერების შესაბამისი ქმედებით გამოირიცხება – და არა პაციენტის თანხმობით. იხ.: *Eser, Albin*, Zur Regelung der Heilbehandlung in rechtsvergleichender Perspektive, in *Weigend/Küpper*, FS für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, 1999, S. 472. სლოვენიაში გამოთქმული სხვა მოსაზრებით კი, განკურნების მიზნით განხორციელებული სამედიცინო ჩარევა სხეულის დაზიანებას არ წარმოადგენს; *Korošec, Damjan*, Das neue slowenische Medizinstrafrecht, in *Hoyer, Müller/Pawlik/Wolter*, FS für Friedrich-Christian Schroeder zum 70. Geburtstag, 2006, S. 823.

¹⁴ *Eser, Albin*, Zur Regelung der Heilbehandlung in rechtsvergleichender Perspektive, in *Weigend/Küpper*, FS für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, 1999, S. 475.

¹⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ რავალფეროვან ლიტერატურაზე იხ.: *Eser, Albin/Sternberg-Lieben, Detlev*, in *Schönke/Schröder*, Strafgesetzbuch, Kommentar, 28 Aufl. 2010, §223 Rn. 32 ff.; *Tsambikakis, Michael*, §223, Rn. 27, in *Tsambikakis/Rostalski*, Medizinstrafrecht, 2023, §223, Rn. 27.

¹⁶ *Eser, Albin*, Zur Regelung der Heilbehandlung in rechts-

დოგმატიკოსთა ნაწილი კი სხეულის დაზიანების შემადგენლობიდან გამოსარიცხად საკმარისად თვლის სამედიცინო ჩარევის განხორციელებას მედიცინის ხელოვნების წესების სრული დაცვით და ამტკიცებს, რომ ინდიცირებული, *lege artis* ჩატარებული და სუბიექტურად, გამოჯანმრთელების მიზნით განხორციელებული სამკურნალო ჩარევა სხეულის დაზიანების ქმედების შემადგენლობას არ ასრულებს.¹⁷ არგუმენტაცია შემდეგნაირია: გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის¹⁸ §223 (სხეულის დაზიანება) „ფიზიკურ ძალადობას“ და „ჯანმრთელობის დაზიანებას“ ითვალისწინებს, სამედიცინო ჩარევა კი პათოლოგიური მდგომარეობის გამოსასწორებლად და ჯანმრთელობის აღსადგენად ხორციელდება. არ შეიძლება ერმანეთთან გაიგივდეს ცივი იარაღით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული და ქირურგის მიერ პაციენტის გამოჯანმრთელების მიზნით ჩატარებული ქირურგიული ოპერაცია. თვითნებური, პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩატარებული მკურნალობისას ხელყოფილია არა პაციენტის ჯანმრთელობა, არამედ მისი თავისუფალი განვითარების (თვითგანსაზღვრის) უფლება, რასაც გსსკ §223 (სხეულის დაზიანება) არ იცავს.¹⁹ ინდიცირებული თვითნებური სამედიცინო მანიპულაციის სხეულის დაზიანებად კვალიფიკაციისას სხეულის დაზიანების შემადგენლობას მისთვის უცნობი სამართლებრივი სიკეთე აქვს თავს მოხვეული,²⁰ თვითგანსაზღვრას თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული შემადგენლობები იცავენ და პაციენტის ნების გარეშე ჩატარებული სამედიცინო ჩარევა ან შეურაცხყოფად (გსსკ §185), ანდა თავისუფლების აღკვეთად (გსსკ §239) ან/და იძულებად (გსსკ §240) უნდა დაკვალიფიცირდეს, ანდა ავსტრიის სსკ 110-ე მუხლის (თვითნებური მკურნალობა) მსგავსად, თვითნებური მკურნალობის ნორმა უნდა იქნას შემოღებული.²¹

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმულია ასევე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც სამედიცინო ინდიკაციისას ტექნიკურად სწორი სამედიცინო ჩარევა სხეულის დაზიანების შემადგენლობას მხოლოდ სხეულის მთლიანობის არსობრივი ცვლილებისას შეესაბამება; შედეგის უღირსობა და შესაბამისად, ქმედების შემადგენლობა გამოირიცხება მაშინ, როდესაც სამედიცინო ჩარევის მთლიანობაში განხილვისას პაციენტის ჯანმრთელობა უმჯობესდება. პაციენტის თვითგანსაზღვრის უფლება კი ამგვარ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი თანხმობითაა (პაციენტის დასტური) დაცული.²²

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმულია ასევე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც სამედიცინო ინდიკაციისას ტექნიკურად სწორი სამედიცინო ჩარევა სხეულის დაზიანების შემადგენლობას მხოლოდ სხეულის მთლიანობის არსობრივი ცვლილებისას შეესაბამება; შედეგის უღირსობა და შესაბამისად, ქმედების შემადგენლობა გამოირიცხება მაშინ, როდესაც სამედიცინო ჩარევის მთლიანობაში განხილვისას პაციენტის ჯანმრთელობა უმჯობესდება. პაციენტის თვითგანსაზღვრის უფლება კი ამგვარ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი თანხმობითაა (პაციენტის დასტური) დაცული.²²

IV. თვითნებური ტექნიკურად სწორი (*lege artis*) და წარმატებული მკურნალობის სამართლებრივი შეფასება ქართულ სამართალში

ქართული სისხლის სამართლისათვის თვითნებური მკურნალობის სპეციალური შემადგენლობა უცხოა, სისხლის სამართლის დოგმატიკაში კი საყოველთაოდ აღიარებენ, რომ დაზარალებულის თანხმობა და სავარაუდო თანხმობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებაა,²³ თუმცა ექიმის მიერ სამედიცინო ჩარევის შემთხვევაში შესრულებული ქმედების შემადგენლობის დაკონკრეტებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

vergleichender Perspektive, in Weigend/Küpper, FS für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, 1999, S. 466.

¹⁷ Eser, Albin, Zur Regelung der Heilbehandlung in rechtsvergleichender Perspektive, in Weigend/Küpper, FS für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, 1999, S. 467; Ulsenheimer, Klaus, Arztstrafrecht in der Praxis, 5. Aufl., 2015, Rn 336; Tsambikakis, Michael, §223, Rn. 27, in Tsambikakis/Rostalski, Medizinstrafrecht, 2023, §223 Rn. 27.

¹⁸ შემდგომში შემოკლებულია როგორც გსსკ.

¹⁹ Eser, Albin, Zur Regelung der Heilbehandlung in rechtsvergleichender Perspektive, in Weigend/Küpper, FS für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, 1999, S. 466; *ჰილგენდორფი, ერიკ*, შესავალი მედიცინის სისხლის სამართალში, 2020, გვ. 23.

²⁰ *ჰილგენდორფი, ერიკ*, შესავალი მედიცინის სისხლის სამართალში, 2020, გვ. 23.

²¹ Hirsch, Hans Joachim, Zur Frage eines Straftatbestandes der eigenmächtigen Heilbehandlung, in Gossel/Triffner, Gedächtnisschrift für Heinz Zipf, 1999, S. 362.

²² Eser, Albin/Sternberg-Lieben, Detlev, in Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl. 2010, §223 Rn. 32 f.

²³ *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, 2013, გვ. 31; *ლეკვეიშვილი, მზია*, დაზარალებულის თანხმობა, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, სამართლის ჟურნალი №1-2, 2010, გვ. 172; *ხერხეულიძე, ირინე*, წიგნში: ნაწყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2016, გვ. 382.

წარმატებული სამედიცინო ჩარევის სამართლებრივი შეფასებისას ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გერმანული დისკუსიის პირდაპირი პარალელებით ვერ ვიხელმძღვანელებთ. გსსკ §223 მიხედვით, ჯანმრთელობის პათოლოგიური მდგომარეობის გამონვევა, როგორც შედეგი, სხეულის დაზიანების შემადგენლობის ერთადერთი დამფუძნებელ ნიშანს არ წარმოადგენს.²⁴ ამ ნორმით გათვალისწინებულია არა მხოლოდ პირის მიერ განხორციელებული ქმედებასთან მიზეზობრივად დაკავშირებული ჯანმრთელობის დაზიანება, არამედ აგრეთვე სხეულებრივი კეთილდღეობის მნიშვნელოვნად (არა უმნიშვნელოდ) დამაზიანებელი ბოროტი და არასათანადო მოპყრობაც²⁵ ყოველგვარი დამაზიანებელი შედეგის გარეშე. შესაბამისად, გსსკ §223 გრამატიკული განმარტებით, ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაცია, რომელიც სხეულებრივ კეთილდღეობას ან მთლიანობას თუნდაც დროებით ხელჰყოფს, წარმატებული და გამომჯანმრთელებელიც კი, სხეულის დაზიანებად შეიძლება ჩაითვალოს.²⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი²⁷ იმავე სამართლებრივ სიკეთეს, პირის სხეულებრივ კეთილდღეობას, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ნორმებით იცავს და ამ შემადგენლობებში უმეტესწილად სავალდებულო ნიშნად კონკრეტულ შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება, საერთო შრომისუნარიანობის სხვადასხვა ზომით დაკარგვა ან პათოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო დროა გათვალისწინებული.²⁸ შესაბამისად, ქართულ მედიცინის სისხლის

სამართალში ტექნიკურად სწორი და წარმატებული სამედიცინო ჩარევა ჯანმრთელობის დაზიანებად ვერ დაკვალიფიცირდება. ექიმის მიერ სამედიცინო ჩარევით განხორციელებული შემადგენლობის ძიებისას ალოგიკურ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანდა აქცენტის გადატანა სამედიცინო ჩარევის შემდეგ საჭირო სარეაბილიტაციო პერიოდზეც, რადგან, სამედიცინო ჩარევის სირთულე და შესაბამისად, გამოჯანმრთელებისათვის საჭირო დრო განხორციელებული ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის განმსაზღვრელი იქნებოდა და რთული სამედიცინო ჩარევისას მაღალკვალიფიციური ექიმი ჯანმრთელობის დაზიანების კვალიფიციური შემადგენლობის განმახორციელებლად მოგვევლინებოდა.

გამაოგნებელ დასკვნამდე მიგვიყვანდა ასევე სამედიცინო ჩარევის პროცესის განხილვა დაუმთავრებელი დანაშაულის (მომზადება, მცდელობა) საკანონმდებლო კონსტრუქციების გამოყენებისასაც: ექიმის მიერ ოპერაციის *lege artis* მომზადება, პროფესიული მოვალეობის სოციალურად ადექვატური შესრულება, ჯანმრთელობის დაზიანების მომზადებად უნდა განგვეხილა, სკალპელის მომარჯვება გამაჯანსაღებელი ოპერაციის ჩასატარებლად კი – დანაშაულის მცდელობად.

ექიმის მიერ პაციენტის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ან მისი სიცოცხლის გადასარჩენად განხორციელებული წარმატებული სამედიცინო ჩარევა ჯანმრთელობის დაზიანებასთან არც საზოგადოებრივ ცნობიერებაში ასოცირდება.

როგორც ვხედავთ, სამკურნალო ჩარევა საქართველოს სსკ-ის სხეულის დაზიანების შემა-

²⁴ Knauer, Christian, in Roxin/Schroth, Handbuch des Medizinstrafrechts, 2011, S. 14.

²⁵ ჰილგენდორფი, ერიკ, შესავალი მედიცინის სისხლის სამართალში, 2020 წელი, გვ. 13.

²⁶ Waßmer, Martin Paul, Medizinstrafrecht, 2022, §3, Rn. 9.

²⁷ შემდგომში შემოკლებულია როგორც სსკ.

²⁸ სსკ 117-ე მუხლის 1-ლ ნაწილში (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) ჩამოთვლილია ჯანმრთელობის დაზიანების კონკრეტული სახეები: სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ანდა რომელიც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან, ან

წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან. სსკ-ის 118-ე მუხლის (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) შემადგენლობა მოითხოვს ან ჯანმრთელობის ხანგრძლივ, 21 დღეზე მეტი ხანგრძლივობის მოშლას, ანდა შრომისუნარიანობის მყარ დაკარგვას ერთ მესამედზე ნაკლებად (10-დან 33%-მდე). სსკ 120-ე მუხლის (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) შემადგენლობა ითვალისწინებს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლას (ავადმყოფური მდგომარეობისათვის საჭირო მკურნალობა გრძელდება 6 დღიდან 21 დღემდე. თუ 6 დღემდე მკურნალობა გახდება საჭირო, ქმედება საერთოდ არ ითვლება ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებად) ან შრომის უნარის უმნიშვნელო (5-დან 10%-მდე) ან არამყარი დაკარგვა; თოდუა, ნონა, წიგნში: თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი პირველი, 2023, გვ. 152-198.

დგენლობებიდან უმეტესწილად სიტყვიერადაა გამოორიცხული. ინდივირებული და წარმატებული სამედიცინო ჩარევის სისხლისსამართლებრივი შეფასებისას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლში გათვალისწინებული შემადგენლობის მხოლოდ ერთი ნიშანია მხედველობაში მისაღები: სხეულის დაზიანება, რომელმაც რომელიმე ორგანოს დაკარგვა გამოიწვია. კიდურის მოკვეთა ქირურგის მიერ პაციენტის სხეულებრივი მთლიანობის ხელყოფაა და შესაბამისად, სსკ-ის 117-ე მუხლის შემადგენლობითაა მოცული, რაც სიცოცხლის გადარჩენის მიზნის მიუხედავად, გადანყვეტილება-უნარიანი პაციენტის ინფორმირებულ თანხმობას საჭიროებს.

რაც შეეხება პაციენტის წარმატებულ თვითნებურ მკურნალობას პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენის მიზნით, რაც პაციენტის ღირსებას ლახავს, მისი თვითგანსაზღვრის უფლების უგულებელყოფის გამო, ქართულ რეალობაში სისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. პაციენტის ავტონომიის დაცვა წარმატებული თვითნებური სამედიცინო ჩარევის შემთხვევაში სამოქალაქო სამართალმა ითავა და ამ ბოლო წლებში სამოქალაქო სამართლის დოგმატიკასა²⁹ და სასამართლო პრაქტიკაში³⁰ იწყებს დამკვიდრებას.

V. დასკვნა

ამგვარად ვასკვნით, რომ ქართულ სისხლის სამართალში სამედიცინო ინდიკაციისას ტექნიკურად სწორი და წარმატებული სამედიცინო ჩარევა სხეულის დაზიანების შემადგენლობას მხოლოდ და მხოლოდ სხეულის მთლიანობის არსობრივი ცვლილე-

ბისას ასრულებს.³¹ პაციენტის ავტონომიის ხელმყოფ წარმატებულ თვითნებურ მკურნალობას კი, რომელიც სხეულის მთლიანობას არსობრივად არ ცვლის, მარტოდენ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკავშირდება.

²⁹ გელაშვილი, ირმა, პაციენტის წინასწარ გაცხადებული ნება – Living Will, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი №6, 2022, გვ. 118; გელაშვილი, ირმა, სამედიცინო სამართლის პრინციპები, მართლმსაჯულება და კანონი, №2, 2021, გვ. 48.

³⁰ ამგვარი პოზიცია დაიკავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის 2022 წლის 25 მაისის გადანყვეტილებაში, საქმე №2b/691-22. საქმე ეხებოდა იეპოვას მონმეების მიმდევარი პაციენტი-სათვის (მოსარჩელე) მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე სისხლის გადასხმას.

³¹ შდრ.: Eser, Albin/Sternberg-Lieben, Detlev, in Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl. 2010, §223 Rn. 32 f.

სისხლის სამართლის კანონის დროსა და სივრცეში მოქმედების საკითხისათვის

პროფესორი, სამართლის დოქ. **ნონა თოდუა**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

წინამდებარე სტატია შეეხება სისხლის სამართლის კანონის დროსა და სივრცეში მოქმედების ფარგლების ცალკეულ საკითხს.

კანონის დროში მოქმედების საკითხს ეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის¹ მე-2 მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად: „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს“.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს“.

აღნიშნული დანაწესი სრულად შეესაბამება კანონიერების პრინციპს,² რომლის თანახმად, არ არსებობს დანაშაული და სასჯელი, თუ არ არსებობს ამის შესახებ მითითება სისხლის სამართლის კანონში. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ყოველი ქმედება, რომელიც დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს, უნდა იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონში.

¹ შემდგომში შემოკლებულია, როგორც სსკ.

² კანონიერების პრინციპის შესახებ იხ. ნაჭყებია, გურამ, ნიგნში: ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2019, გვ. 54-57; გამყრელიძე ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, 2013, გვ. 36-43; ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 107-110.

II. სისხლის სამართლის კანონის დროსა და სივრცეში მოქმედების სწორად გაგებისთვის

1. რას ნიშნავს „როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან უნდა ემოქმედა მას“?

„როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი“-ში იგულისხმება მოქმედებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევა. ხოლო „როცა უნდა ემოქმედა მას“-ში იგულისხმება უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევა (როგორც წმინდა, ისე შერეული უმოქმედობის დელიქტის შემთხვევა).³ ამდენად, მასში იგულისხმება ვთქვათ, როგორც დაუხმარებლობა (სსკ 129-ე მ.), ისე მკვლელობა, რაც ჩადენილია უმოქმედობით (სსკ 108-ე მ.).

შესაბამისად, გამოიყენება სისხლის სამართლის სწორედ ის კანონი, რომელიც მოქმედებდა ქმედების ჩადენის დროს (და არა შედეგის დადგომის დროს).⁴

ე.წ. ფორმალურ (ანუ შედეგგარეშე) დანაშაულში ამ მხრივ პრობლემა არ წარმოიშობა, რადგან მისი დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია ქმედების განხორციელება და შედეგის დადგომა სავალდებულო არაა (მაგალითად, ყაჩაღობა – საქართველოს სსკ 179-ე მ.).

სულ სხვა ვითარებაა ე.წ. მატერიალურ (ანუ შედეგიან) დანაშაულთან მიმართებაში. ეს ის შემთხვევაა, როცა დანაშაულის დამთავრებულად

³ წმინდა და შერეული უმოქმედობის დელიქტის შესახებ იხ. გამყრელიძე ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, 2013, გვ. 167-168; მჭედლიშვილი-ჭედრიძი, ქეთევან, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 296-301.

⁴ იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა ნაწილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ დანაშაულის ჩადენის დროდ უნდა მივიჩნიოთ შედეგის დადგომის დრო. იხ. *Дурманов, Николай Дмитриевич, Советский уголовный закон, 1967, С. 260-265.*

ცნობისათვის (ანდა მოცემული მუხლით სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის) არაა საკმარისი ქმედების განხორციელება, არამედ ასევე აუცილებელია შედეგის დადგომა. მაგალითად, მკვლელობა (საქართველოს სსკ 108-ე მ.), პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემის ხელყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ 157 მ.).⁵ შესაბამისად, ქმედება და შედეგი დროში რამდენადმე სცილდება ერთმანეთს.

მაგალითი: პეტრემ მოკვლის განზრახვით 2022 წლის 5 მაისს მძიმედ დაჭრა პავლე. ეს უკანასკნელი მიყენებული დაზიანებისაგან 10 მაისს გარდაიცვალა. დანაშაულის ჩადენის დროა 5 მაისი (და არა 10 მაისი).

გამომდინარე აქედან, პეტრეს პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ კანონით, რაც მოქმედებდა ქმედების ჩადენისას – 5 მაისს და არა 10 მაისს მოქმედი კანონით. აქედან გამონაკლისია ის შემთხვევა, თუ ახალმა კანონმა შეამსუბუქა პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მას უკუძღა მიენიჭება (საქართველოს სსკ მე-3 მუხ. პირვ. ნან.).

2. რას ნიშნავს „ქმედების ჩადენის დრო“?

საერთოდ, „ქმედება“ გაიგება ვიწროდ, როგორც სუბიექტის ნების გამოვლენის გარეგანი აქტი (დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება) და არა შედეგთან ერთობლიობაში. აქედან გამომდინარე, უნდა დაზუსტდეს: მასში ვიგულისხმობთ მხოლოდ ქმედება ვიწრო გაგებით (**ანუ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა**), თუ ის ქმედებაც, რაც წინ უძღვის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას (დანაშაულის მომზადების სტადიისათვის დამახასიათებელი ქმედებები)?

ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილია ისეთი კატეგორიის დანაშაული (განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და ზოგიერთი ნაკლებად მძიმე), როცა საქართველოს სსკ

მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის⁶ მიხედვით მომზადების სტადიაც დასჯადია.

უნდა აღინიშნოს, რომ დასმულ საკითხზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაა გამახვილებული სათანადო ყურადღება. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლისა და სამართალმემფარდებლისთვის ეს საკითხი არცაა საინტერესო. ეს ის ქვეყნებია, სადაც დანაშაულის მომზადება არაა აღიარებული დასჯად სტადიად. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში დანაშაულის მომზადება ყველა შემთხვევაში არ არის აღიარებული დასჯად სტადიად (სხვა საკითხია, გერმანიის სსკ-ს §30-ის მე-2 პუნქტი და ასევე ის ფაქტი, რომ მათ სსკ კერძო ნაწილში გათვალისწინებული აქვთ დანაშაულის ფაქტობრივი მომზადების ცალკეული სპეციალური შემადგენლობები). საქართველოში კი, სადაც მომზადების სტადია ერთ-ერთი დასჯადი სტადიაა (საქართველოს სსკ მე-18 მუხლი), ეს საკითხი მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

მაგალითი: ვანომ გადაწყვიტა დავითის მოკვლა. ამ მიზნით მან 2023 წლის 11 იანვარს შეისწავლა დავითის მოძრაობის განრიგი. დაადგინა, თუ დღის რა მონაკვეთში გადაადგილდება იგი მარტო ოჯახის წევრების გარეშე. იმავე დღეს (11 იანვარს) შეიძინა დანაშაულის იარაღი და ლამის 11 საათსა და 45 წუთზე ჩაუსაფრდა დავითს. ვანომ ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, რადგანაც პოლიციის თანამშრომლებმა ადგილზე ამხილეს.

სახეზეა მკვლელობის მომზადება (18, 108-ე მ.) და არა მკვლელობის მცდელობა, რადგან საქართველოში, სადაც დანაშაულის მომზადებაც დასჯადი სტადიაა (განსხვავებით იმ ქვეყნებისაგან, სადაც მომზადების სტადია არაა დასჯადი), მკვლელობის ჩადენის მიზნით ჩასაფრება ფასდება როგორც დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა.

⁶ სსკ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების, აგრეთვე ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 194-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 202-ე მუხლის პირველი ნაწილით, 221-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების მომზადებისათვის.

⁵ სსკ-ის 157-ე მუხლის არსზე იხ. თოდუა, ნონა, წიგნში: თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი I, 2023, გვ. 478-483.

ისმის კითხვა: რა დროა ამ მაგალითში დანაშაულის ჩადენის დრო?

თუკი ჩვენ დანაშაულის ჩადენის დროის განსაზღვრისას „ქმედების ჩადენის დრო“-ში ყოველთვის ვინრო გაგებით „დანაშაულის შემადგებლობას“ (ანუ მცდელობის სტადიას) ვიგულისხმებთ, გამოვა, რომ მომზადების სტადიის ჩადენას არ ჰქონია კანონით განსაზღვრული დრო.

ასეთი გაგება არალოგიკურია და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლის ნებას, რადგან ჩვენმა კანონმდებელმა დანაშაულის მომზადებაც დასჯად სტადიად გამოაცხადა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან მომზადების ჩადენის დროც განსაზღვრა.

მოცემულ მაგალითთან მიმართებაში ეს საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: ვანოს მიერ მკვლელობის მომზადების ჩადენის დროა ის დრო, როცა იგი მოქმედებდა მკვლელობისათვის პირობების შესაქმნელად (2023 წ. 11 იანვარი).

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არა მხოლოდ სამართლიანია, არამედ თანხვედრაში მოდის სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების პრინციპთანაც – საქართველოს სსკ მე-4 მ. მე-2 ნაწ. (ე.წ. სულყველგანობის, ანუ საყოველთაობის პრინციპი).⁸

3. დანაშაულის ჩადენის დროის დადგენა დანაშაულის მომზადებასთან ერთად დანაშაულის მცდელობის განხორციელების დროს

ზემოთ მოყვანილი მაგალითი შეცვალეთ: დავითი გამოჩნდა 2023 წლის 12 იანვარს (00 საათსა და 10 წუთზე) რა დროსაც ვანომ დანით გულის არეში

⁷ სსკ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი: საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საქართველოს კონტინენტურ შეღწეზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილ დანაშაულზე.

⁸ საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შესახებ იხ. *ნაჭყებია, გურამ*, ნიგნში: *ნაჭყებია/თოდუა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2019, გვ. 99-103; *გამყრელიძე ოთარ*, სისხლის სამართლის პრობლემები, 2013, გვ. 147-152; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 104-106, 136-139.

სასიკვდილოდ დაჭრა იგი, თავად კი მიიმალა. დავითი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში და ექიმების მცდელობის მიუხედავად სამი დღის შემდეგ (16 იანვარს) გარდაიცვალა.

რა დროა ამ დროს დანაშაულის ჩადენის დრო? კერძოდ, ეს არის დრო, როცა განხორციელდა მომზადება და შემდეგ მცდელობა (ანუ როგორც 11, ისე 12 იანვარი), თუ მხოლოდ მცდელობის განხორციელების დრო (12 იანვარი)?

უფრო დასაბუთებული იქნება, ამ შემთხვევაში „დანაშაულის ჩადენის დრო“-ში ვიგულისხმეთ ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის (მოცემულ მაგალითში, მკვლელობის მცდელობის) განხორციელების დრო (ანუ ის დრო, როცა ვანომ დანით დაჭრა დავითი), რადგან:

- ა) განსხვავებით მომზადებისაგან, დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისას (ანუ დანაშაულის მცდელობისას) სამართლებრივ სიკეთეს (ამ შემთხვევაში ადამიანის სიცოცხლეს) ექმნება იმნუთიერი (და არა სამომავლო) საფრთხე;⁹
- ბ) მცდელობა მომზადების შემდგომი ქმედებაა (შემდგომი ეტაპია) და ამ თვალსაზრისითაც მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა;
- გ) საკითხის ამგვარი გადაწყვეტა იმ მხრივაცაა გამართლებული, რომ თუკი მომზადების შემდეგ, დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისას (მაგ., 12 იანვარს) უკვე ძალაში შევიდა ახალი, გამკაცრებული კანონი, არ დადგება კანონის უკუძალის საკითხი და პირს ეს ახალი გამკაცრებული კანონი უპრობლემოდ შეერაცხება.

4. დანაშაულის ჩადენის დროის პირდაპირი კავშირი სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების პრობლემასთან

კერძოდ, როცა პირი საქართველოს ტერიტორიაზე მოამზადებს დანაშაულს (ვთქვათ, 2023 წლის 11 იანვარს), მაგრამ მის ობიექტურ შემადგენლობას საზღვარგარეთ განახორციელებს (ვთქვათ, 12 იან-

⁹ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნის საკითხზე იხ. *მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქეთევან*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 21-43.

ვარს), დანაშაულის ჩადენის დროდ უნდა ჩაითვალოს არა როგორც მომზადების, ისე მცდელობის განხორციელების დრო (ანუ როგორც 11, ისე 12 იანვარი), არამედ ის დრო, როცა მან განახორციელა ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა (ამ შემთხვევაში 12 იანვარი).

მაგალითი: საქართველოს მოქალაქე პეტრემ ვასოს მოსაკლავად, 11 იანვარს საქართველოში შეიძინა იარაღი და ვასოსთან ერთად გაემგზავრა საზღვარგარეთ. როცა მათ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და საზღვარგარეთ გადავიდნენ (12 იანვარს), პეტრემ ამ იარაღის გამოყენებით მკვლელობის მიზნით დაჭრა ვასო.

დანაშაულის ჩადენის დროა 12 იანვარი, როცა განხორციელდა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა. ამ შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენს უცხო ქვეყანაში ჩადენილი ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაცია, რადგან დანაშაულის სუბიექტი საქართველოს მოქალაქეა.¹⁰

5. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ დანაშაულის ჩადენის ცალკეული პრობლემატური შემთხვევები

უფრო რთულ ვითარებათან გვაქვს საქმე, როცა საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაული (მაგ., შურისძიების მოტივით მკვლელობა) მოამზადა არა საქართველოს მოქალაქემ (ან სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა), არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქემ, თანაც არა საქართველოს მოქალაქის, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ. ხოლო დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა უშუალოდ განახორციელა არა საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

ეს ის შემთხვევაა, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ დანაშაული უშუალოდ ჩადენილია უცხო ქვეყანაში და თანაც ეს დანაშაული არაა მიმართული საქართველოს ინტერესის წინააღმდეგ (რადგან მსხვერპლიც უცხოელია). ამდენად, ქმე-

დების კვალიფიკაციისას ვერ გამოვიყენებთ ვერც რეალობისა და ვერც დაცვის პრინციპს.¹¹

მაგალითი: საფრანგეთის მოქალაქემ 2023 წლის 11 იანვარს საქართველოში შეიძინა მკვლელობის იარაღი უცხო ქვეყნის (მაგ., იტალიის) მოქალაქის მოკვლის მიზნით. ამავე დღეს მან გაიგო, თუ როდის და რომელ ქვეყანაში აპირებდა ეს პირი საქართველოდან გამგზავრებას. შემდეგ გაჰყვა მას უცხო ქვეყანაში და დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა განახორციელა 2023 წლის 12 იანვარს საქართველოს საზღვრის იქით (მაგ., გერმანიის) ტერიტორიაზე.

ვინაიდან ამ დროს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ მკვლელობის განხორციელება ხდება საზღვარგარეთ, შესაბამისად, უნდა ავამოქმედოთ საქართველოს სსკ მე-5 მუხლით გათვალისწინებული რეგულაცია (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის), კერძოდ, მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი.

ამ რეგულაციის მიხედვით საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს სს პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ-ით შეიძლება დაეკისროთ ორ შემთხვევაში:

- ა) თუ ეს დანაშაული არის საქართველოს ინტერესის წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ან
- ბ) თუ ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.¹²

ზემოთხსენებულ მაგალითში უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ჩადენილი ეს დანაშაული (იტალიის მოქალაქის მკვლელობა) არაა მიმართული საქართველოს ინტერესის წინააღმდეგ (რადგან მსხვერპლი არაა საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი). ამდენად, მნიშვნელობა არა აქვს, რა კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება იგი. ამასთან ამ დანაშაულისათვის პასუ-

¹⁰ მოქალაქეობის პრინციპის შესახებ, იხ. ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 139-143.

¹¹ რეალობისა და დაცვის პრინციპის შესახებ, იხ. ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 143-144.

¹² დანვრილებით ამ საკითხზე იხ. ნაჭყელები, გურამ/თოდუა, ნონა, წიგნში: ნაჭყელები/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2019, გვ. 107.

ხისმგებლობა არაა გათვალისწინებული საქართველოს რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებით.

ამდენად, ეს შემთხვევა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს სსკ მე-5 მუხლით დადგენილ სტანდარტს, რადგან:

- ა) სუბიექტი უცხო ქვეყნის მოქალაქეა;
- ბ) დანაშაული ჩადენილია უცხოეთში;
- გ) ეს დანაშაული არაა მიმართული საქართველოს ინტერესის წინააღმდეგ;
- დ) ამ დანაშაულისთვის არაა გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო შეთანხმებით.

გამომდინარე აქედან, მოცემულ შემთხვევაში, საფრანგეთის მოქალაქეს საქართველოს სს კოდექსით ვერ მივცემთ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში **დამთავრებული მკვლელობისათვის**. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუკი იგი ჩვენ ხელში ჩაგვყვარდა, საერთოდ არ დავაკისროთ სს-ვი პასუხისმგებლობა.

საქართველოში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელია, რადგან მან დაუმთავრებელი დანაშაულის ერთ-ერთი დასჯადი სტადია (დანაშაულის მომზადება) საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა.

საქართველოს სსკ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე.

როგორც ვხედავთ, იმისათვის, რომ დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ჩაითვალოს, ერთ-ერთი ალტერნატიული პირობაა, **იგი დაიწყო** საქართველოს ტერიტორიაზე.

დანაშაულის დაწყებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ მცდელობის სტადიის განხორციელება (როცა უშუალოდ დაიწყო დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა), არამედ მომზადების სტადიაც, როცა პირი განზრახ ქმნის პირობებს დანაშაულის მომავალში ჩასადენად.¹³ ასეთი დასკვნის საფუძველი ისაა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულის მომზადებაც დასჯადი სტადიაა.

¹³ იხ. ნაჭყეებია, გურამ/თოდუა, ნონა, წიგნში: ნაჭყეებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2019, გვ. 92-93.

შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის დროდ უნდა ვაღიაროთ საქართველოში დანაშაულის მომზადების ჩადენის დრო (11 იანვარი), რადგან დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დროს (12 იანვარს), **საქართველოს კანონმდებლობით**, ზემოთხსენებული მიზეზის გამო, ვერ ჩავთვლით დანაშაულის ჩადენის სამართლებრივად დასაბუთებად დროდ.

ამდენად, საფრანგეთის მოქალაქე პასუხს აგებს საქართველოს სს კოდექსით მკვლელობის მომზადებისათვის (18, 108-ე მ.) მიუხედავად იმისა, რომ მან საზღვარგარეთ ფაქტობრივად ბოლომდე მიიყვანა ეს დანაშაული.

როგორც ვხედავთ, მოცემული შემთხვევის საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში შეფასებისას საქმის ფაქტობრივი და იურიდიული მხარე არ დაემთხვევა ერთმანეთს – ფაქტობრივად ჩადენილია დამთავრებული დანაშაული, ხოლო იურიდიულად საქართველოში მას უნდა მიეცეს დანაშაულის მომზადების შეფასება (სამართლებრივი ფიქცია).

საქართველოში დანაშაულის მომზადება რომ არ ითვლებოდეს დასჯად სტადიად, მოცემულ შემთხვევაში საფრანგეთის მოქალაქეს სს-ვი პასუხისმგებლობა საქართველოს სს კოდექსით საერთოდ არ დაეკისრებოდა (თუ მის ქმედებაში, რაც განხორციელდა საქართველოში, არ იქნებოდა სხვა დანაშაულის ნიშნები. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა – სსკ 236-ე მ.).

დამთავრებული მკვლელობისათვის მისი სს-ვი პასუხისმგებლობაში მიცემა შესაძლებელია როგორც გერმანიაში (რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდა იგი), ისე საფრანგეთში (რომლის მოქალაქეცაა მკვლელი), ასევე იტალიაში (რომლის მოქალაქეც იყო მსხვერპლი).

როგორ უნდა შეფასდეს მსგავსი შემთხვევა, თუ დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად (თანამსრულებლობით), საიდანაც ერთი ამსრულებელი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – უცხო ქვეყნის მოქალაქე?

ზემოთხსენებული მაგალითი შემდეგნაირად შეცვალოთ: საქართველოს მოქალაქემ ივანემ და საფრანგეთის მოქალაქე ფილიპმა განიზრახეს იტალიის მოქალაქის ანდრეს მკვლელობა. ამ მიზნით მათ 11 იანვარს საქართველოში შეიძინეს მკვლელობის იარაღი, გაიგეს, თუ როდის და რო-

მელ ქვეყენაში აპირებდა ანდრე გამგზავრებას და გასდიეს მას უცხო ქვეყანაში. როცა ანდრე ჩავიდა გერმანიაში, 12 იანვარს ივანემ და ფილიპმა გაერთიანებული ძალებით მოკლეს იგი (ივანემ ხელები გაუკავა მსხვერპლს, ხოლო ფილიპმა ცივი იარაღის გამოყენებით მოკლა იგი). სახეზეა მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში – ჩადენილი ჯგუფურად (საქართველოს სსკ 109-ე მ. „ი“ ქვ.).

საინტერესოა, თუკი საქართველოს ხელში ჩაუვარდება ორივე მკვლელი, რამდენადაა შესაძლებელი ორივე მათგანის ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც დამთავრებული მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში – ჯგუფურად?

ივანეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობად, რაც ჩადენილია ჯგუფურად (საქართველოს სსკ 109-ე მ. „ი“ ქვ.), რადგან იგი საქართველოს მოქალაქეა და აქედან გამომდინარე, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე დაიწყო მან ქმედება, რაც დანაშაულად ითვლება როგორც საქართველოში, ისე უცხო ქვეყანაში. ასევე არა აქვს მნიშვნელობა, სად გააგრძელა ეს დანაშაული, სად შეწყდა ან სად დამთავრდა იგი (საქართველოს სსკ მე-5 მუხლის პირველი ნაწილი – მოქალაქეობის პრინციპი).¹⁴

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში პრობლემური გახდება უცხო ქვეყნის მოქალაქე ფილიპის ქმედების კვალიფიკაცია: თუ შეიძლება მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ 109-ე მ-ის „ი“ ქვ-ით? თუ იგი უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელობის მომზადება?

როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, ვინაიდან უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის დროდ უნდა ვაღიაროთ საქართველოში დანაშაულის მომზადების დრო (11 იანვარი), ამდენად, მის ქმედებას საქართველოში არ უნდა მიეცეს ჯგუფურად ჩადენილი დამთავრებული მკვლელობის კვალიფიკაცია – მის მიმართ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დროს (12 იანვარს), საქართველოს კანონმდებლობით, უკვე ხსენებული მიზეზის გამო, ვერ ჩავთვლით დანაშაულის ჩადენის სამართლებრივად დასაბუთებად დროდ.

¹⁴ საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესახებ (ე.წ. მოქალაქეობის პრინციპი) იხ. *ნაჭყეებია, გურამ/თოდუა, ნონა*, წიგნში: *ნაჭყეებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*, 2019, გვ. 103-104.

ამდენად, საფრანგეთის მოქალაქე პასუხს აგებს საქართველოს სს კოდექსით მკვლელობის მომზადებისათვის მიუხედავად იმისა, რომ მან საზღვარგარეთ ფაქტობრივად ბოლომდე მიიყვანა ეს დანაშაული და თანაც ბოლომდე მიიყვანა იგი არა მარტომ, არამედ თანამსრულებელთან ერთად.

6. საქართველოს სსკ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსის გაგებისთვის

რადგან საქართველს ტერიტორიაზე დანაშაულის დაწყება, ანუ მისი თუნდაც მომზადების განხორციელება ერთ-ერთი ალტერნატიული პირობაა დანაშაულის საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად მიჩნევისთვის, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ასეთი დანაშაული ყველა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად იმისდა მიუხედავად, ვინაა მისი სუბიექტი ან მსხვერპლი, იგი გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოში თუ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე?

თუ მხარს დავუჭერთ ამ დანაშაულის ამგვარად განმარტებას, მაშინ სრულიად ზედმეტი აღმოჩნდება ზემოთ მოყვანილი მსჯელობა უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასებისას – უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ჩადენილი ქმედება ყველა შემთხვევაში საქართველოშიც შეფასდება როგორც დამთავრებული დანაშაული მიუხედავად იმისა, რომ მან საქართველოში მხოლოდ მოამზადა დანაშაული, ხოლო დამთავრა იგი საზღვარგარეთ.

მართალია, სსკ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ამგვარი განმარტებისას უფრო ადვილი ხდება ქმედების კვალიფიკაცია და დღის წესრიგიდან მოიხსნება თანამონაწილეობისას (როგორც მისი ფართო, ისე ვიწრო გაგებით) წარმოშობილი სირთულეები, მაგრამ ამ მოსაზრების გაზიარება მაინც არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად, რადგან:

- ა) ასეთი განმარტება წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს სსკ მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის დანაშაულთან, რომლითაც განსაზღვრულია უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი (რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ);
- ბ) მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ დასჯა-

დობა დანაშაულის მომზადებისა, როცა სამართლებრივ სიკეთეს ექმნება მხოლოდ სამომავლო (და არა იმნუთიერი) საფრთხე, პრობლემური საკითხია. ამიტომაც, რომ ამ სტადიის დასჯადობას არ აღიარებს მთელი რიგი ქვეყნის კანონმდებლობა. ამ ფონზე, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში ჩადენილია მხოლოდ დანაშაულის მომზადება, არ იქნება სამართლიანი, მას პასუხი ვაგებინოთ დამთავრებული დანაშაულისთვის, როცა სახეზე არ ყოფილა სსკ მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით დაწესებული წინაპირობები;

- გ) ამგვარი განმარტება გარკვეულ პროცესუალურ პრობლემასაც შექმნის დამთავრებული დანაშაულის მტკიცების თვალსაზრისითაც, რადგან საქართველოში ჩადენილია მხოლოდ მომზადების სტადია.

ამ სამი არგუმენტიდან ყველაზე მთავარი მაინც პირველი არგუმენტია, რადგან პროცესუალური პრობლემა მაშინაც იქმნება, როცა საქართველოს მოქალაქე საზღვარგარეთ სჩადის დანაშაულს (სსკ მე-5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევა).¹⁵

III. დასკვნა

ამგვარად, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ქართულ სისხლის სამართალში სისხლის სამართლის კანონის დროსა და სივრცეში მოქმედების ფარგლების ცალკეული საკითხი პრობლემატურია. ამიტომ, საჭიროა, ყველა შესაბამისი შემთხვევის ინდივიდუალურად შეფასება, რათა არ მოხდეს საკითხის არასწორი სამართლებრივი შეფასება, რაც ზემოაღნიშნული მაგალითების განხილვამაც დაადასტურა.

¹⁵ სსკ-ის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული რეგულაციების (მოქალაქეობის, დაცვისა და უნივერსალობის პრინციპების) შესახებ, იხ. ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011, გვ. 139-149; იხ. ნაჭყებია, გურამ/თოდუა, ნონა, წიგნში: ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2019, გვ. 103-107.